

შპს „013“

ს/კ 405 031 861

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2022წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისთვის.

დირექტორი : ნინო მახათაძე



ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „013“-ის იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ი.აბაშიძის 10/12

დირექტორი ნინო მახათაძე პ/ნ 01008019709

შპს „013“ დაფუძნდა 2014 წელს

შპს „013“-ის ძირითადი საქმიანობაა ინერტული მასალის ტრანსპორტირება ქვეყნის ფარგლებში.

საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და არ ევალება აუდიტის ჩატარება.

არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2022 კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოობის პრინციპის შესაბამისად.

სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

დირექტორი : ნინო მახათაძე



კომპანიის საოპერაციოს და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა- ლარი.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპები

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია წარმოების განვითარების გეგმის შესაბამისად. შემდგომი განვითარების გეგმა ითვალისწინებს, რომ არსებული რესურსების პირობებში საწარმოს უნარი აქვს უწყვეტად განახორციელოს საოპერაციო საქმიანობა მომავალშიც.

რეალიზაციის ასახვა

რეალიზაციის მაჩვენებელი წარმოადგენს გადაზიდვის მომსახურებიდან მიღებულ და მისაღებ თანხებს დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას მიეკუთვნება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მისი ტრანსპორტირება, თანახმად რეალიზაციის პრინციპისა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

დანახარჯები ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტზე, რომლითაც არ იზრდება ძირითადი საშუალებების ღირებულება მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებზე. დანახარჯები რომელიც გაიწევა ძირითადი საშუალებების, განახლებაზე კაპიტალიზირდება და ზრდის ძირითადი საშუალებების ღირებულებას.

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდომარეობაში მოყვანის ხარჯებს
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება პირვანდელი ღირებულებიდან ნაშთის შემცირებადი მეთოდით

დირექტორი : ნინო მახათაძე



მოგების გადასახადი

გადასახადის გადამხდელის უმრავლესობა, მათ შორის ამ კომპანიასაც არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე, მხოლოდ დივიდენდის გადაწილება და სპეციფიური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას.

მარაგები

სხვა მარაგებში აღნიშნულია საწვავი (დიზელი), რომელიც ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაში და გამოიყენება გადაზიდვის მომსახურების დროს.

და ასევე ავტონაწილები, რომელიც გამოიყენება მიმდინარე რემონტის დროს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოცავს შეძებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა -

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯები, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა), მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

ასევე ავტონაწილები (ფილტრები, ზეთი, საბურავი, ხუნდები და ა.შ.), რომლებიც აუცილებელია მანქანების გამართული მუშაობისთვის რათა არ შეაფერხოს ეკონომიური საქმიანობა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება მიმდინარე რემონტის ხარჯებს.



სავაჭრო და სხვა კრედიტორული მოთხოვნები

მომსახურების მიწოდებას საწარმო ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე მოთხოვნაზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას.

საგადასახადო ვალდებულებები

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშებაში ასახეული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხებით)

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც იგი წარმოიშვა.

ხარჯების აღიარება

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.



იჯარა

ტრანსპორტის იჯარა, რომლის გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებლის გადაცემა არ სდება მოიჯარეზე.

პროცენტები

ბანკიდან აღებული გრძელვადიანი სესხზე ბანკის მიერ მიმდინარე დარიცხული თანხა.

დებიტორები

დარიცხული იჯარები და ანგარიშვალდებული პირის დაუფარავი ვალები.



შპს „013“ (ს/კ 405 031 861)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები		3652157	1465918
საქონლის გაყიდვიდან		0	363690
მომსახურების გაწევიდან		3652157	1095596
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	6632
გაყიდვების თვითღირებულება		0	0
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება		3652157	1465918
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	1	-197642	-115969
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	2	-285207	-151290
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი		-25350	-11208
იჯარის ხარჯი		0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3	-2532629	-1108026
სულ საოპერაციო ხარჯები		-3040828	-1386493
საოპერაციო მოგება		611329	79425
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და			
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		0	0
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		611329	79425
მოგების გადასახადის ხარჯი		-39015	-10035
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		572314	69390
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		572314	69390
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1412828	1411957
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-221084	-56863
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	-11656
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1764058	1412828

დირექტორი : ნინო მახათაძე



შპს „013“ (ს/კ 405 031 861)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	270113	44997	305051
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		724876	313527	480536
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		32	0	273947
მარაგები		7655	0	0
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა	5	7655	0	0
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	1166	23249
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		0	0	0
ძირითადი საშუალებები	2	1649707	1139698	485137
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6	99400	99400	99400
სულ აქტივები		2751783	1598788	1667320
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	7	210265	90964	202154
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		9650	9650	9650
საგადასახადო ვალდებულებები		51590	10846	43559
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		716220	74500	0
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		987725	185960	255363
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		0	0	0
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1764058	1412828	1411957
გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		1764058	1412828	1411957
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2751783	1598788	1667320
სულ მოკლევადიანი აქტივები		7655	1166	23249
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		0	0	0

დირექტორი : ნინო მახათაძე



შპს „013“ (ს/კ 405 031 861)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების გადაანგარიშება

	2022	2021
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1412828	1411957
საწესდები კაპიტალის გაზრდა/შემცირება	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-221084	-56863
ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში (მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი)	572314	69390
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-11656
კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1764058	1412828

დირექტორი : ნინო მახათაძე



შპს „013“ (ს/კ 405 031 861)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებათა შენიშვნები

1. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალზე გაცემულ ხელფასებსა და სხვა დამატებით ბენეფიტებს, რომლებიც ჩართული საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებში და შესაბამისად აღიარდება მიმდინარე საანგარიშო პერიოდის ხარჯად.

2. ძირითადი საშუალებები

დასახელება	ნაშთი 01.01.2022	შეძენა 2022	გასვლა 2022	ცვეთა 2022	ნაშთი 31.12.2022
სატრანსპორტო საშუალებები	1122948	785301	0	280789	1627460
ოფისის აღჭურვილობა	16750	9915	0	4418	22247
	1139698	795216	0	285207	1649707

3. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

დასახელება	თანხა
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	1513146
ბანკის მომსახურების საკომისიო	8397
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისა და რემონტის ხარჯი	120140
დაზღვევის ხარჯი	14667
სოციალური ანარიცხები	2795
სხვა ხარჯი	23577
საწვავის ხარჯი	849907
	2532629

დირექტორი : ნინო მახათაძე



შპს „013“ (ს/კ 405 031 861)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

4. ფულადი სახსრები

თანხები მოცემულია ქართულ ლარში

	2022წ	2021წ
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ფულადი სახსრები ბანკის ანგარიშზე	270113	44997
	270113	44997

5. სასაქონლო ამტერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი მოიცავს სატრანსპორტო საშუალებებისთვის განკუთვნილ საწვავის (დიზელის) ნაშთს.

6. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივები	2022წ
მიწის ნაკვეთი-ამბროლაური, ნიკორწმინდა.	99400

7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ადგილობრივი მომწოდებლისგან შეძენილ საქონელსა და მომსახურებაზე წარმოშობილ, ძირითადად მოკლევადიან ვალდებულებებს.

დირექტორი : ნინო მახათაძე

